ჩვენი შუამავლის მეგობრები -4

# ენეს ბინ მალიქი



მწერალი
ამინე ქევსერ ქარაჯა
აიშე ილდიზ ილდირიმ

მხატვარი
ელიფ იემენიჯი შენ

ჩვენი შუამავლის მემკვიდრეები -4

# ენეს ბინ მალიქი

მწერალი
ამინე ქევსერ ქარაჯა
აიშე ილდიზ ილდირიმ

მხატვარი
ელიფ იემენიჯი შენ

გამომცემლობის ხელმძღვანელი:
მელიქე გუნიუზ

მწერალი:
ამინე ქევსერ ქარაჯა,
აიშე ილდიზ ილდირიმ

მხატვარი:
ელიფ იემენიჯი შენ

რედაქტორი:
ელიფ ქონარ

რედაქცია:
ხევიმ სარიჩამ, მერიემ უჩარ

გრაფიკული უზრუნველყოფა:
აიშე ადაშ

თურქეთის რელიგიის
საქმეთა სამმართველოს
ფონდის გამომცემლობა

muslim georgia



იმ დღეს გუვენის ოჯახი სასიამოვნოდ იყო აღელვებული. ბატონი იუსუფი ბიძა გახდა. მოემზადნენ და მამიდასთვის მისალოცად გაეშურნენ. ბავშვები აღელვებულები იყვნენ, რადგან ახალი მამიდაშვილი უნდა ენახათ. აიშემ ზარი დარეკა.





muslim georgia

კარი მათმა მამიდასშვილმა, მერიემმა, გააღო. მერიემის თვალები სიხარულით ბრწყინავდა.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, – თქვა და ბიძას მივარდა. იცი პატარა ძამიკო მყავს. ენესი დავარქვით.

– ენესი რას ნიშნავს? – იკითხა აიშემ და მამიდას მიუბრუნდა.



muslim georgia



–კარგ მეგობარს, ამხანაგს ნიშნავს. ჩვენ კი ეს სახელი ჩვენს ბიჭს იმიტომ შევურჩიეთ, რომ ენეს ბინ მალიქივით კარგი ზნეობის იყოს, –უთხრა მამიდამ.

აიშეს თვალები ჩვილისთვის მიეპყრო. მამიდამ ჩვილი ხელებში მისცა და ოთახში შევიდნენ.

–ენეს ბინ მალიქი ვინაა? –იკითხა ამინემ.

მერიემმა იმ წუთას წამოიყვირა:

–დედიკო შეიძლება მე ავხსნა?





muslim georgia

მერიემი გაზრდილი იყო, მაგრამ ვითომ პატარა იყოს ისე დაიწყო ახსნა:

–ჩვენი ფეიღამბრის მედინაში ჰიჯრეთის (გადასვლის) შემდეგ ენესის დედამ, უმმუ სულეიმმა, ის ჩვენი ფეიღამბრის გასაცნობად მიიყვანა. ამ დროს ენეს ბინ მალიქი 9–10 წლის იქნებოდა. დედამ თქვა რომ ენესი კარგი ზნეობის ბავშვი იყო და სთხოვა მასთან დაეტოვებინა და აღეზარდა. ჩვენმა ფეიღამბერმა ეს წინადადება მიიღო. იმ დღის შემდეგ ენესი სულ ჩვენი ფეიღამბრის გვერდით იყო და ძალიან ბედნიერი იყო. სიახლოვის გამო ჩვენი ფეიღამბრისგან ბევრი ჰადისი ისწავლა და სხვასაც ასწავლა.

–ჰადისი რას ნიშნავს?

–ინტერესით ჰკითხა ალიმ.

მერიემმა დედას შეხედა და თქვა:

–ჩვენი ფეიღამბრის სიტყვებია ხომ დედა?



–მართალია, მაგრამ ცოტათი შეამოკლე. ჰადისი ჩვენი ფეიღამბრის მხოლოდ სიტყვები არაა, ასევე მის ქცევებზე დარქმეული სახელია. ჩვენი ფეიღამბრის ქცევები და სიტყვები, იმ ადამიანებმა ვინც ის ნახეს ანუ საჰაბეებმა მათ შემდეგ თაობას აუხსნეს. მათაც ეს ჩაიწერეს. ამ გზით ეს ცნობები ჩვენამდე მოვიდა.



muslim GEORGIA international charity foundation

–ოოო, ძალიან უცნაურია, კომპიუტერში ჩაწერეს? –იკითხა ამინემ.

ამ კითხვაზე ყველამ ხმამაღლა იცინა.

–რა თქმა უნდა იმ დროს კომპიუტერი არ ყოფილა. ქაღალდები იყო, თანაც ახლანდელისგან განსხვავებული ქაღალდები. აი იმათზე დაიწერა ჰადისები, –უპასუხა მამიდამ.



– კიდევ კარგი
ჩაუწერიათ, თორემ
ჩვენ როგორ
ვისწავლიდით
ჩვენმა
ფეიღამბერმა რაც
გააკეთა, – თქვა
აიშემ.



muslimgeorgia

ბავშვების ახსნილს ბატონი იუსუფი დაეთანხმა:

– ენესი, კარგი მოსაუბრე, კარგი შეხედულების, ღარიბებზე დამხმარე, კარგი ზნეობის ადამიანი იყო. ჩვენს ფეიღამბერს ამ მახასიათებლების გამო ძალიან უყვარდა და მისთვის ევედრებოდა, – დაამატა.



–ჩემი ძმაც მის მსგავსად კარგი ადამიანი იქნება ინშალლაჰ, –თქვა მერიემმა.

ყველამ ერთად "აამიინ" თქვეს.

ბატონი იუსუფი მერიემთან მივიდა.

–ყოჩაღ ჩემს დისშვილს, რამდენი რამე სცოდნია, –შეაქო მერიემი.



## მიიყვანეთ გუვენის ოჯახი სწორი გზით ბავშვის სანახავად

